

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის
N20 ბინაზე, მოქალაქე თეონა აბზიანიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ავტომშენებლის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის N20 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თეონა აბზიანიძის განცხადება /2012 წლის 04.10 №-8437/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის N20 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის N20 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თეონა აბზიანიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N21 საცხოვრებელი სახლის N20 ბინაზე /საერთო ფართობი 62,09 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 33,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 29,09 კვ.მ./ მოქალაქე თეონა აბზიანიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე კ.რაგვიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე